საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის

ბრძანება №ს-4

2024 წლის 12 იანვარი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის 2023 წლის რაუნდის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების/აქტივობების და განხორციელების ვადების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის 2023 წლის 31 მარტის №ს-22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის №1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. შეიცვალოს „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის 2023 წლის რაუნდის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების/აქტივობების და განხორციელების ვადების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის 2023 წლის 31 მარტის Nს-22 ბრძანების დანართი და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს სააგენტოს მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპირო №1).

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“

დირექტორი მიხეილ ხიდურელი

დანართი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის 2023 წლის რაუნდის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები/აქტივობები და განხორციელების ვადები

№	განსახორციელებელი ეტაპების (ღონისძიებების/აქტივობების) ჩამონათვალი	ღონისძიებების /აქტივობების განხორციელების ვადები
1	ბიზნესიდეების მიღება	3.04.2023-27.04.2023
2	ბიზნესიდეების განხილვა	3.04.2023-14.05.2023
3	ბიზნესიდეების ეტაპის გამარჯვებულის გამოვლენა	14.05.2023-19.05.2023
4	პოტენციურ ბენეფიციარებთან სამეწარმეო ტრენინგი	19.05.2023-12.06.2023

5	ბიზნეს გეგმის მიღება	19.05.2023-23.06.2023
6	ბიზნეს გეგმის განხილვა	19.05.2023-29.06.2023
7	დაფინანსებამდე მონიტორინგი/ინსპექტირება	19.05.2023-18.07.2023
8	გასაუბრება პოტენციურ ბენეფიციარებთან	19.05.2023-31.07.2023
9	გამარჯვებულების გამოვლენა	31.07.2023-09.08.2023
10	ბიზნეს გეგმების გასაჩივრება	09.08.2023-11.08.2023
11	საჩივრების განხილვა	09.08.2023-30.08.2023
12	ხელშეკრულებების გაფორმება	09.08.2023-30.08.2023[1]
13	ბენეფიციარების მიერ თანამონაწილეობის თანხის ხარჯვა	09.08.2023-31.10.2023
14	თანამონაწილეობის მონიტორინგი №1	09.08.2023-01.12.2023
15	გრანტის თანხის გადარიცხვა	09.08.2023-11.12.2023
16	ბენეფიციარების მიერ გრანტის ხარჯვა	09.08.2023-31.01.2024
17	გრანტის თანხის ხარჯვის მონიტორინგი №2	09.08.2023-10.02.2024
18	დამატებითი ტრენინგი	09.08.2023-06.12.2023
19	შემაჯამებელი მონიტორინგი №3	26.02.2024-07.07.2024
20	დამატებითი მონიტორინგი	19.05.2023-13.07.2024

[1] ხელშეკრულებების გაფორმების ეტაპის ბოლო ვადა არის 2023 წლის 13 სექტემბერი, მხოლოდ იმ მეწარმე სუბიექტებისთვის, რომლებიც საჩივრის დაკმაყოფილების შემდგომ გადავლენ ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე.